



შირაქი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (9.980)

19 - 26 ივნისი, 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რა საიდუმლოს ინახავს ყაჯირის მთა?

2020 წლის 9 თებერვალს, როდესაც „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“ ექსპედიცია სატორგეს სამონასტრო კომპლექსის მოსაზრებულად მიმგზავრავდა, ცენტრის დამფუძნებელმა ანზორ მჭედლიშვილმა, ყაჯირის მთის ქედზე გამოქვაბული შენიშნა. მრავალი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით არაერთი ექსპედიციას ჩაუვლია, თუმცა, მანამდე რატომღაც არავის შეუძენია ეს „საეჭვო სიტყვილი“, რომლის მიღაც თურმე ძველი, უნიკალური გუმბათიანი ტაძარი იმალება.

სატორგედ ნოდებუი კულტურული მემკვიდრეობის სივრცე დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილია და კახეთში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს. კერძოდ, მდინარე იორის მარჯვენა ნაპირას, დალის წყალსაცავის სიახლოვეს. კომპლექსი ე.წ. ყაჯირის მთის ქედებზე, კლდეშია გამოკვეთილი და სიგრძეში დაახლოებით 10-მდე კილომეტრზეა გაშლილი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სატორგე სასულიერო დანიშნულების გარდა, სამხედრო-სტრატეგიულ ფუნქციასაც ასრულებდა. ამის თქმის საფუძველს მათ აძლევს კომპლექსის გეოგრაფიული მდებარეობა - სატორგე მიმდებარე ტერიტორიის ყველაზე მაღალ ნერტილზეა გაშენებული, გარდა ამისა, ერთ-ერთ ქედზე აღმოჩენილია კოშკის ნაშთი, რომელიც, მკვლევარების ვარაუდით, სათვალთვლო ობიექტი უნდა ყოფილიყო.

ანზორ მჭედლიშვილი ამბობს, რომ საფუძვლიანი კვლევა ამ დრომდე არ ჩატარებულა. მისი თქმით, დღეისათვის მიკვლეული სამი ძირითადი კომპლექსი, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ძეგლთა სისტემისა, რაც კლდეების სიღრმეში იმალება.

მკვლევარი უახლესი აღმოჩენის ისტორიას გვიამბობს და გვეუბნება, რომ ძეგლი, სავარაუდოდ, კიდევ ერთ უძველეს სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენს.

„გასულ წელს, სრულიად შემთხვევით, გზიდან დავინახე ეს გამოქვაბული, მაგრამ მაშინ არ მიფიქრია, რომ რამე განსაკუთრებული იყო და არც შევჩერებულვართ. შემდეგ, როცა ექსპედიციიდან დავბრუნდით და ფოტოებს ვაშუშავებდი, გამიჩნდა ეჭვი, რომ კადრში უბრალო გამოქვაბული კი არა, ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩენა ჩანდა. მალევე კიდევ ერთხელ წავედით სატორგეში, მაგრამ გამოქვაბულში შესვლა ვერ მოვახერხეთ, რადგან სპეციალური ალპინისტური აღჭურვილობის გარეშე იქ ასვლა შეუძლებელია. შემდეგ გარკვეული პერიოდი კოვიდპანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა შეგვიშალა ხელი და მხოლოდ რამდენიმე თვის წინ მოვახერხეთ გვენახა, რა იყო გამოქვაბული“, - გვიამბობს ანზორ მჭედლიშვილი.



გამოქვაბულში სპეციალისტებს დახვდათ უნიკალური მხატვრული დიზაინის მქონე ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც მე-9-მე-10 საუკუნეებით უნდა თარიღდებოდეს. ცენტრმა სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად გაარკვია, რომ 2021 წლის აპრილის თვემდე ამ ეკლესიის შესახებ ცნობები არსად მოიპოვებოდა.

გარდა ამ გარემოებისა, აღმოჩენა განსაკუთრებული მნიშვნელობის იმითაც არის, რომ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში არ არსებობს მსგავსი არქიტექტურული დიზაინის ანალოგი.

„მოყვანილობით და მხატვრული გაფორმებით შემორჩენილ ეკლესიას ოთხკუთხეა ფორმა აქვს. ის სამხრეთით, კლდეში გაჭრილი კარით უკავშირდებოდა

დანარჩენ ქვაბულებს. დღეისათვის, ვიზუალური დაკვირვებით, ყველა კარი ამოქოლილია ნაშალი მასალით და გვერდით ნაგებობებში გასვლა შეუძლებელია. ეკლესიის აღმოსავლეთის მხარე ჩამონგრეულია და საკურთხეველის ფორმის აღდგენა, სამწუხაროდ, შეუძლებელია. ინტერიერში ნაღესობის, კედლის მხატვრობის, ნარჩენების ან სხვა სახის კვალი არ შეიმჩნევა. კედლები თანაბარი სიგრძისაა, დაახლოებით 4-5 მეტრის და თითოეული კედელი ორსაფეხურიანი დეკორატიული თალითაა მოჩარჩოებული. ეს სურათი, რაც აღვინერეთ, გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ ეს მხოლოდ ერთი ტაძარი კი არა, დიდი სამონასტრო კომპლექსის ნაწილია“, - ამბობს მკვლევარი.

ისტორიკოსი ლადო მირიანაშვილი აღმოჩენის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და დასძენს, რომ აუცილებელია გაგრძელდეს ამ ძეგლის კვლევითი სამუშაოები.

„დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსში არაერთი გამორჩეული დიზაინის გუმბათიანი ეკლესიაა, მაგრამ ეს აღმოჩენა სრულიად უნიკალურია. საქმე ის არის, რომ ასეთი ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა აქამდე ცნობილ არცერთ მონასტერში არ გვხვდება. ტაძრის დარბაზი დასრულებულია კონუსისებრი გუმბათით, რომელიც სამსაფეხურიანი გუმბათის ყელშია ჩასმული. გუმბათის პირველი საფეხური ვიწრო და სადაა. მეორე საფეხური ჩაკვეთილი წრითაა გაფორმებული, მესამე საფეხური კი კუთხეებში ჩაკვეთილი 4 წრით. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ გარეგულ ხუროთმოძღვრებს ძალზედ საინტერესო არქიტექტურული გემოვნება ჰქონდათ. გარეჯის სხვა მონასტრებშიც გვაქვს გუმბათიანი ტაძრების მრავალფეროვნება: ზოგი სფერულგუმბათიანია, ზოგი - კონუსურგუმბათიანი. გვხვდება ერთმანეთზე დადგმული სამი ცილინდრიც, მაგრამ ასეთი მცირე ნახევარსფეროიანი ღრმელებით გუმბათქვეშა სივრცის გაფორმება უანალოგოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ახალიკვლეული ძეგლი კიდევ ერთ ახალ სიტყვას იტყვის ამ ტიპის ეკლესიების შესწავლის საქმეში. აქვე უნდა ითქვას, რომ კვლევები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, რადგანაც იქ ბევრი რამ არის შესასწავლი და აღმოსაჩენი“, - ამბობს ლადო მირიანაშვილი.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“ ინფორმაციით, ეკლესიის ამჟამინდელი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. გუმბათზე და ეკლესიის ქერზე შეინიშნება ფართო ბზარები. თუ ძეგლს საკონსერვაციო სამუშაოები დროულად არ ჩაუტარდება, არსებობს დიდი რისკი, რომ ეკლესია სრულიად ჩამოშალოს.

მომზადდა
ინგა შიოლაშვილმა



ინტელექტუალური თამაშის „რა, სად, როდის“ ფინალი გაიმართა

12 ივნისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაშის - „რა, სად, როდის“ ფინალი გაიმართა.

ტურნირი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდის, ნინო კიკლაშვილის ხსოვნას მიეძღვნა და ორგანიზატორთა განცხადებით, ის ტრადიციულ სახეს მიიღებს.

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქ. დედოფლისწყაროს N1, N2, ზემო ქედის N1 და ზემო მახანის საჯარო სკოლების გუნდები. მემორიალური ტურნირის გამარჯვებულები ზემო მახანელი ახალგაზრდები გახდნენ, მეორე ადგილი დაიკავა ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო მესამე ადგილზე ქ. დედოფლისწყაროს N2



საჯარო სკოლის მოსწავლეები გავიდნენ. თამაშის საუკეთესო მოზროვნე ზემო მახანის საჯარო სკოლის მოსწავლე ზაბა ჯამასკიშვილი გახდა. გამარჯვებულებს დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. პირველადგილოსნებმა საჩუქრები ნინო კიკლაშვილის ოჯახისგანაც მიიღეს. ნინო კიკლაშვილის სახელობის

ინტელექტუალური ჩემპიონატი „რა, სად, როდის“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებითა და მერიის აქტიური მხარდაჭერით ჩატარდა. ხორნაბუჯის საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე და არაერთი კონკურსის გამარჯვებული ნინო კიკლაშვილი 2018 წელს ტრაგიკულად გარდაიცვალა.

საფერავის საერთაშორისო კონკურსში 70-მდე კომპანია მონაწილეობს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოში საფერავის მეორე საერთაშორისო კონკურსი ტარდება. კონკურსი, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორია ასოციაცია „ქართული ღვინო“, საფერავის და მისგან დამზადებული მრავალფეროვანი ღვინოების ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. კონკურსზე 70-მდე მწარმოებელმა საფერავის ყურძნის ჯიშისგან სხვადასხვა ტექნოლოგიით წარმოებული 250-მდე ღვინის ნიმუში წარადგინა. საკონკურსო ფიურის თავმჯდომარე ენოლოგი, მეღვინე ბობი ლაშინაძე იყო. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ფიურის წევრის, ლეკო მსხუზლას შეფასებით, კონკურსზე წარმოდგენილი ღვინოები საუკეთესო ხარისხისაა; მსგავსი კონკურსები ხელს უწყობს საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში ღვინის ინდუსტრიის განვითარებისთვის, რადგან ექსპორტის უდიდესი წილი სწორედ საფერავისგან დამზადებულ ღვინოებზე მოდის. გამარჯვებული ღვინოები რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი. კონკურსში გამარჯვებულ კომპანიებსა და მცირე მარნებს ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს დიპლომები გადაეცემათ. საფერავის პირველი საერთაშორისო კონკურსი 2018 წელს ჩატარდა. კონკურსზე წარდგენილი იყო როგორც დიდი მწარმოებლის, ასევე მცირე და საშუალო საოჯახო მარნების 200-მდე ღვინის ნიმუში. ფიურის თავმჯდომარე ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი და ღვინის მწერალი, ენდრიუ ჯეფრისი იყო. საფერავი უძველესი ქართული ვაზის ჯიშია. იგი ვაზის წითელი ჯიშების მსოფლიო ასორტიმენტის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მაღალი ხარისხობრივი და უნიკალური თვისებებიდან გამომდინარე, საფერავის ჯიშის ყურძენი გაშენებულია არაერთ ქვეყანაში და მისგან მაღალი ხარისხის ღვინოები იწარმოება.

საარსებო მინიმუმი გაიზარდა

2021 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 2,8 ლარით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, გასულ თვეს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 205.6 ლარს შეადგენდა, მამინ როცა 2021 წლის აპრილში ეს მაჩვენებელი 202.8 ლარი იყო. 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, მაისში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 16 ლარით არის გაზრდილი. შარშან მაისში საარსებო მინიმუმი 189.6 ლარს შეადგენდა. ამასთან, „საქსტატის“ მონაცემებით, მაისში აპრილთან შედარებით, 2,5 ლარით მოიმატა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმამაც და 179.6 ლარის ნაცვლად 182.1 ლარი გახდა. რაც შეეხება 2020 წლის ანალოგიურ პერიოდს, შარშან მაისში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 167.9 ლარს შეადგენდა.

„სიტყვები საკმარისი არ არის, უკრაინა და საქართველო ნატო-ში უნდა შევიყვანოთ“

„სიტყვები საკმარისი არ არის, უკრაინა და საქართველო ნატო-ში უნდა შევიყვანოთ“, - ამის შესახებ ამერიკელი სენატორი რობ პორტმანი „ტიტერ-ში“ წერს, სადაც ის აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებს, ჯო ბაიდენს და ვლადიმერ პუტინს შორის გუშინ გამართულ შეხვედრას ეხიანება. „მიუხედავად იმისა, რომ მოხარული ვარ, რომ პრაზინა ბაიდაჩიკა პრაზინა პუტინთან უკრაინის საკითხი განიხილა, სიტყვები უკრაინა და საქართველო არ არის. ჩვენ უკრაინა და საქართველო ნატო-ში უნდა შევიყვანოთ და ბაიდაჩიკის ადმინისტრაციამ ძლიერი რიტორიკა მასპრეობიდან უნდა შეუსაბამოს“, - წერს სენატორი.

„უახლოეს მომავალში გვექნება ვაქცინების ძალიან ფართო ასორტიმენტი“

„ეპიდვითარება საქართველოში საყურადღებოა. მნიშვნელოვანია, საზოგადოების მობილიზაცია გამახვილებული იყოს ყველა ღონისძიების დაცვაზე - უახლოეს მომავალში ჩვენ ძალიან ფართო ასორტიმენტი გვექნება, რის საფუძველზეც უკვე ივანე მასობრივი ვაქცინაციის დაწყება“, - ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა კატარინე ტუპაშვილიმ ჟურნალისტებთან განაცხადა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ვაქცინაციის პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართულობა. „ეპიდვითარება საქართველოში საყურადღებოა. მნიშვნელოვანია, საზოგადოების მობილიზაცია გამახვილებული იყოს, ყველა ღონისძიების დაცვაზე, რომელიც მონოღებულა დაავადების კონტროლის ცენტრიდან. აუცილებელია, სოციალური დისტანცია და პირბადე, რა თქმა უნდა. ასევე მნიშვნელოვანია ვაქცინაციის პროცესში აქტიური ჩართულობა. აღსანიშნავია, სადაც საჭიროება მოითხოვდა, რეგონებში ბრიგადების დამატება მოხდა და ეს გაგრძელდება. ჩვენ უკვე დამატებითი დოზების ლოჯისტიკაზე ვმუშაობთ. უახლოეს მომავალში ჩვენ ძალიან ფართო ასორტიმენტი გვექნება, რის საფუძველზეც უკვე ივანე მასობრივი ვაქცინაციის დაწყება. საუბარია, როგორც „მოდერნაზე“, ასევე „ჯონსონ და ჯონსონსა“ და „ნოვოვასზე“. აქედან გამომდინარე, მოქალაქეებს საკმაოდ ფართო არჩევანის საშუალება ექნებათ“, - განაცხადა მინისტრმა. მანვე ე.წ. ინდურ შტამთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის დადასტურებული 18 შემთხვევაა, თუმცა არსებობს გარკვეული ეჭვი, რომ მისი გავრცელება მეტი იყოს. ვინაიდან ყველასთვის ცნობილია, რომ ე.წ. ინდური შტამი გაცილებით სწრაფად ვრცელდება.

ღვინის ეროვნული სააგენტო განცხადებას ავრცელებს

„ვენახების კადასტრი თითოეული ვენახის ნაკვეთის ინდენტიფიკაციის და რეგისტრაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის (ვენახის მდებარეობა, ვაზის ჯიშები, დარგვის თარიღი, ვენახის მდგომარეობა და ა.შ.) შეგროვებით იქმნება. ვენახების რეგისტრაცია მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში განთავსებულ სარეგისტრაციო უბნებზე ხდება. საკადასტრო ამონაწერის მიღება უფასოა და არ საჭიროებს იუსტიციის სახლში მისვლას - ვენახების კადასტრის კავშირი არ აქვს მინის კადასტრთან, ეს არის ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზა. ვენახების საკადასტრო ამონაწერის მისაღებად, მევენახეებმ სარეგისტრაციო უბნებზე უნდა წარადგინონ მხოლოდ პირადობის მოწმობა. მცდარია რამდენიმე მევენახის საჯაროდ გაკეთებული კომენტარი, რომ ისინი არ იყვნენ აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული. ვენახების კადასტრის პროგრამა 2014 წელს დაიწყო და მას შემდეგ, ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები შეხვედნენ ყველა მევენახეს, იყვნენ ყველა ნაკვეთში, მიმდინარე წლის თებერვლიდან კი, კახეთის ყველა მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში აღნიშნულ თემზე შეხვედრები დღემდე ინტენსიურად მიმდინარებს“, - განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლეკო მსხუზლამ. 2021 წლის რთველის დროს, ვენახების საკადასტრო ამონაწერის გარეშე ფერმერი ღვინის სანარმოს ყურძენს ვერ ჩააბარებს. მიმდინარე წლიდან, ვენახების რეგისტრაცია და კადასტრის ამონაწერით მოსავლის ჩაბარება ყველა მევენახისთვის სავალდებულო გახდა. ვენახების კადასტრის პროგრამა სატესტო რეჟიმში 2018 წელს ამოქმედდა „ქინძმარაული-სა“ და „ყვარლის“ მიკროზონებში. 2019 წლიდან, ვენახების კადასტრის ამონაწერით ყურძენს „ქინძმარაული“, „ახაშენის“, „ყვარლის“ და „მუკუნის“ მიკროზონების მევენახეები აბარებდნენ. ვენახების კადასტრი გააჩნია ევროკავშირის წევრ ყველა იმ ქვეყანას, სადაც მევენახეობა-მეღვინეობის ინდუსტრია განვითარებულია. საქართველო, ვენახების კადასტრის შექმნით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ევროპულ გამოცდილებას გაიზიარებს და დაწერავს. ამ ეტაპზე, ვენახების რეგისტრაცია და საკადასტრო ინფორმაციის განახლება მიმდინარეობს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ყვარელი, გურჯაანი, სიღნაღი (წნორის მხარის სოფლები), თელავი და ახმეტა. რეგისტრაცია შესაძლებელია ზემოთ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში განთავსებულ მოქმედ სარეგისტრაციო უბნებზე, სულ 33 ლოკაციაზე. უახლოეს დღეებში დაემატება ახალი სარეგისტრაციო უბნები. დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში რეგისტრაციის დაწყებაზე მევენახეები ინფორმაციას დამატებით მიიღებენ. საკადასტრო ინფორმაციის განახლება სავალდებულოა ვენახთან დაკავშირებული ისეთი ცვლილებების შემთხვევებში, როგორებიცაა ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, გაჩუქება, გაშენება ან ამოძიკვა. ვენახების კადასტრის პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ცხელ ხაზზე - 1501.

ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული „ქარსაფარი (მინორცხვიტი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა“ ითვალისწინებს, საქართველოში არსებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია-ინვენტარიზაციასა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქვეყანაში არსებული ქარსაფარი ზოლების ტერიტორიების იდენტიფიცირება და მათი ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა, ასევე აღნიშნულ ტერიტორიებზე შემორჩენილ ქარსაფარ ზოლებში არსებული მერქნიანი მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის და ხნოვანებითი სტრუქტურის განსაზღვრა, რათა შემდგომში განხორციელდეს ქარსაფარი ზოლების რეგისტრაცია, რეაბილიტაცია და აღდგენა/გამენება.

პროგრამის ფარგლებში ინვენტარიზაციას დაექვემდებარება, როგორც მწვანე ნარგავებით დაკავებული ქარსაფარი ზოლები, ასევე ქარსაფარი ზოლების ის ტერიტორიები, სადაც მთლიანად ან ნაწილობრივ არის განადგურებული მწვანე ნარგავები ან/და სახელმწიფო უწყებებში დაცული დოკუმენტების მიხედვით დგინდება, რომ მინის ნაკვეთი ან/და მისი ნაწილი წარმოადგენდა ქარსაფარ ზოლს.

ქარსაფარი ზოლების ფუნქცია ნიადაგის ქარისმიერი ეროზიისგან დაცვა და მისთვის ნაყოფიერების შენარჩუნებაა. დეგრადირებული ნიადაგი ხანგრძლივი დროით გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კვლავ გამოყენებისთვის სპეციალური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს ს.ს.ი.პ. მინის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

პროექტის შესაბამისად, ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია დაიწყება 2021 წელს და მისი დასრულება დაგეგმილია 2025 წლისთვის. 2021 წელს ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია განხორციელდება კახეთის რეგიონის შერჩეულ მუნიციპალიტეტში.



ვაქცინაციის პროგრამის განხორციელების ოპერატიული გეგმა დაამტკიცდა

ვაქცინაციის პროგრამის განხორციელების ოპერატიული გეგმა მოიცავს, როგორც ვაქცინაციის ბრიგადების რაოდენობის გაზრდის ნაწილს, ისე სხვა ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია ვაქცინაციის პროგრამის გაფართოებისთვის, მათ შორის დამატებითი სამედიცინო დაწესებულებების ჩართვას ვაქცინაციის პროცესში, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, საზოგადოებრივ სივრცეებში მასობრივი ვაქცინაციის ცენტრების ორგანიზებას.

მასობრივი ვაქცინაციის ცენტრების მობილიზება საქართველოს მასშტაბით, დიდ ქალაქებში იგეგმება და ამ პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან. ამასთან, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სრულად ვაქცინირებული პირებისთვის, რეგულარული ტესტირება სავალდებულო აღარ იქნება.

საბჭოს წევრებმა ასევე განიხილეს ქვეყანაში ვაქცინების დამატებითი დოზების შემოსვლის ვადები. აღინიშნა, რომ სხვადასხვა დასახელების ვაქცინის შემოსვლა ქვეყანაში ივლისიდან, ეტაპობრივად დაიწყება და წლის ბოლომდე, საქართველოში ჯამში მობილიზებული

იქნება 3,6 მილიონზე მეტი ვაქცინა.

იმუნიზაციის პროცესის გააქტიურების პარალელურად, ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის კვლავ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებად რჩება პირბადის ტარება, სოციალური დისტანციის დაცვა და ხალხმრავალი შეკრებებისთვის თავის არიდება.

სამხარეო ადმინისტრაციაში კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ირაკლი შიოშვილისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის კახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსის, ნელი ხიზანიშვილის ხელმძღვანელობით რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების ხელმძღვანელებთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო თათბირზე განხილული იქნა რეგიონულ ტერიტორიაში ყველა ის გასატარებელი ღონისძიება, რომელიც აუცილებელია გაფართოებული ვაქცინაციის განხორციელებისა და მისი პოპულარიზაციისთვის, ეს ეხება ბრიგადების რაოდენობის გაზრდასა თუ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, საზოგადოებრივ სივრცეებში მასობრივი ვაქცინაციის ცენტრების ორგანიზებას.

რაც შეეხება 15 ივნისის ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას:

Stopcov.ge-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ინტენსიური ტესტირების ფარგლებში, ბოლო 24 საათში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 28



593 კვლევა ტესტით, მათ შორის 15 354 კვლევა ანტიგენის ტესტით და 13 239 PCR ტესტით.

ჩატარებული ტესტირების შედეგად, ბოლო 24 საათში გამოვლინდა ვირუსით ინფიცირების 671 ახალი დადასტურებული შემთხვევა. ქვეყანაში კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელებიდან დღემდე გამოვლენილი დადასტურებული შემთხვევების საერთო რაოდენობა შეადგენს 357 591-ს.

რაც შეეხება დადებითობის მაჩვენებელს, 17 ივნისის მდგომარეობით, დადებითობის დღიური მაჩვენებელი არის 2.35%, ბოლო 14 დღის მანძილზე - 2.47%, ხოლო 7 დღის მანძილზე - 2.50%.

ბოლო 24 საათში ვირუსისგან გამოჯანმრთელდა 657 პირი, ხოლო ჯამში გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა გაიზარდა 343 734-მდე.

ბოლო 24 საათში კორონავირუსით გარდაცვალების 17 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. პანდემიის გავრცელებიდან დღემდე ვირუსს ჯამში 5 131 პირი ემსხვერპლა.

15 ივნისს ქვეყანაში გამოვლენილი ინფიცირების 671 ახალი შემთხვევიდან თბილისში გამოვლენილია 376 შემთხვევა, აჭარა - 36, იმერეთი - 72, ქვემო ქართლი - 39, შიდა ქართლი - 41, გურია - 6, სამეგრელო - ზემო სვანეთი - 26, კახეთი - 36, მცხეთა-მთიანეთი - 28, სამცხე-ჯავახეთი - 11, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 0.

ამ ეტაპზე ინფიცირების მიმდინარე აქტიური შემთხვევა არის 9 057 საიდანაც 2 825 ადამიანი მკურნალობს საავადმყოფოში, მათ შორის, თბილისის სა-

ავადმყოფოებში - 1 528, აჭარაში - 224, იმერეთში - 381.

ამ ეტაპზე მძიმე პაციენტია 659 პირი, მათ შორის, თბილისში - 299, აჭარაში - 54, იმერეთში - 133. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფება 181 პირი, მათგან თბილისში - 112, აჭარაში - 10, იმერეთში - 14.

599 ადამიანი მოთავსებულია კლინიკურ-სასტუმროებში, მათ შორის 346 - თბილისში, 221 - აჭარაში.

5 633 პირი ვირუსის მკურნალობის კურსს გადის საცხოვრებელ ბინაზე.

საკარანტინე სივრცეებში მოთავსებულია 42 ადამიანი, მათ შორის, თბილისში - 42, ხოლო აჭარაში - 0.

სულ 6 ოქტომბრიდან - 17 ივნისის პერიოდში, სახელმწიფო საზღვრიდან საკარანტინე სივრცეებში გადაყვანილია - 24 860 პირი.

ამ ეტაპისთვის თვითიზოლაციაში იმყოფება 10 312 ადამიანი, მათ შორის თბილისში - 3 879, პირი, აჭარაში - 1 320, იმერეთში - 1 097.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ინფორმაციით 18 ივნისის მონაცემებით, დედოფლისწყაროში კორონავირუსის 3 ახალი შემთხვევა დადასტურდა, ბოლო ერთ კვირაში ვირუსის 22 შემთხვევა რეგისტრირებული. 14 პირი იმყოფება სტაციონარში. სულ დედოფლისწყაროში კოვიდ 19-ის 1007 შემთხვევა დაფიქსირებული, აქედან გამოჯანმრთელდა 959 ადამიანი.



დეინსტიტუციონალიზაციის ზრდის და ბავშვზე ზრუნვა

საქართველოში ბავშვთა ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, განხილვადი და ჯერ კიდევ პრობლემური საკითხია. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი საქართველოში 2005 წლიდან იწყება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო პოლიტიკა იცვლება და ის მიმართულია მიუსაზარ ბავშვთა ინსტიტუციების ლიკვიდაციისკენ.

2007 წელს, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით იქმნება პირველი, 8 ბავშვზე გათვლილი, საოჯახო ტიპის სახლი. იქ მოზარდები 18 წლის ასაკამდე რჩებიან. სახლებში დედობილ-მამობილები მუშაობენ და ისინი მაქსიმუმ 8-10 ბავშვის აღზრდაზე არიან ორიენტირებულნი. მიუხედავად 15 წლის წინ დაწყებული დეინსტიტუციონალიზაციის პროცესისა, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ მონაცემებით, დღეს, ქვეყანაში არსებულ დიდ საბავშვო დაწესებულებებში, 900-მდე ბავშვი რჩება. იქნება ეს სხვადასხვა რელიგიური კონფესიის ფრთის ქვეშ შექმნილი დაწესებულებები, შშმ ბავშვთა სახლები, თვითმმართველობების მიერ ორგანიზებული ე.წ. კუსტარული ბავშვთა სახლები თუ სკოლა-პანსიონატები. უფლებადამცველები გეგმავენ, რომ თვალყური მიადევნონ დიდ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში გადაყვანისა თუ ბიოლოგიურ ოჯახებში ინტეგრირების საკითხს.

რა არის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და რა სარგებლის მოტანა შეუძლია მას?

ბავშვზე ზრუნვის სისტემის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი გულისხმობს მომსახურების მიწოდების გადატანას დიდი ინსტიტუციური დაწესებულებებიდან საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებულ ოჯახურ ტიპის სახლებზე, სადაც ყურადღება გამახვილებულია ბავშვების ინტეგრაციაზე სოციალურ, რათა თავიდან იქნას აცილებული სეგრეგაცია და სოციალური გარიყულობა. ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს ცხოვრების ისეთი სტანდარტით სარგებლობა, რომელიც ადეკვატურია მისი ფიზიკური, გონებრივი და სოციალური განვითარებისათვის. ისინი უნდა იზრდებოდნენ ოჯახურ, ბედნიერ, სიყვარულითა და ურთიერთგაგებაზე დამყარებულ გარემოში. თემზე დაფუძნებული სერვისების მიღება საშუალებას აძლევს ბავშვებს, ჰქონდეთ ადექვატური, ინდივიდუალური მხარდაჭერა, რომელსაც ინსტიტუციური ზრუნვა ხშირად ვერ უზრუნველყოფს. შედეგად, ცხოვრების კარგი ხარისხი და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებაც ირღვევა. ზაზგასმით არის აღსანიშნავი ოჯახის როლი, როგორც მომავალი, უკეთესი ცხოვრების წინაპირობა.

დღევანდელი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში არსებითად ცენტრალიზებული ხასიათისაა. 2009-2013 წლების ჩათვლით ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის მთავარ ნარმმართველ პოლიტიკად კვლავ რჩებოდა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც საქართველოში დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებები (ბავშვთა სახლები, სკოლა-პანსიონები) დაიხურა და ისინი ზრუნვის ალტერნატიული ფორმებით (მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) ჩანაცვლდა. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და პოლიტიკის ბაზისური დოკუმენტები, როგორც საკანონმდებლო პოლიტიკის, ასევე, პრაქტიკის დონეზე ხელს უწყობენ ზრუნვის ალტერნატიული ფორმების ფუნქციონირებას (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ, ბავშვთა ზრუნვის სტანდარტები, ბავშვთა კეთილდღეობის სამოქმედო გეგმა 2012-2015 წწ.)

დიდი ზომის რამდენი ბავშვთა სახლი ფუნქციონირებს ქვეყანაში? მათ შორის, რამდენია სხვადასხვა რელიგიური კონფესიის ქვეშ არსებული პანსიონი? ჯამში, რამდენი ბავშვი ცხოვრობს დიდი ტიპის დაწესებულებებში? რადიოს თავისუფლების ინფორმაციით, სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ამ კითხვებზე გავცემდა პასუხს, სახელმწიფო

ზრუნვის სააგენტოს ვებსაიტზე არ დევს. უკანასკნელი მონაცემი, რომელიც უწყებას საიტზე აქვს გამოქვეყნებული, 2018 წლით თარიღდება და მოიცავს მხოლოდ ერთი დაწესებულების, ჩვილ ბავშვთა სახლის მონაცემს, სადაც იმ დროისათვის 73 ბავშვი ირიცხებოდა. რაც შეეხება უფრო ძველ მონაცემებს, მედიამი, 6 წლის წინ გავრცელებული მონაცემების თანახმად, 2015 წელს, აჭარის ტერიტორიაზე სამუფთოს დაქვემდებარებაში 24 სკოლა-პანსიონი ფუნქციონირებდა, სადაც 600-მდე არასრულწლოვანი ცხოვრობდა, აქედან 150 გოგო. საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში კი სამი დიდი ზომის ბავშვთა სახლი ფუნქციონირებდა — ბათუმში, ნინოწმინდასა და ბედიანში, სადაც მთლიანობაში 334 ბავშვი ცხოვრობდა.



როგორც მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აცხადებდა, დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შედეგი იყო ის, რომ 2005 წლის შემდეგ, 4 500 ბავშვიდან დიდი ზომის ბავშვთა სახლებში 2015 წლისათვის მხოლოდ 500-მდე ბავშვი რჩებოდა. 2009 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით არსებობდა 25 დიდი ზომის ინსტიტუციური დაწესებულება, რომელშიც განთავსებული იყო 1400-მდე ბავშვი. რაც შეეხება მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, 2018 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 48 მცირე საოჯახო ტიპის სახლი ფუნქციონირებდა, სადაც ირიცხებოდა 351 არასრულწლოვანი.

რა თქმა უნდა, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი მარტივი არ არის. მას ხანგრძლივი მუშაობა სჭირდებოდა და სჭირდება დღესაც. პროცესი უამრავ ეტაპს მოიცავდა და გულისხმობდა მომსახურებათა მრავალმხრივ დახვეწას: საკანონმდებლო ბაზის გაძლიერებას, მინდობითი აღზრდის სერვისის გაუმჯობესებას, პრევენციული დღის ცენტრების გადამზადებას, სპეციალიზებული ზრუნვისა და სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების შეფასებას და სახელმწიფო-სათვის კონკრეტული რეკომენდაციების მიცემას. საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზმა აჩვენა, რომ გარკვეული ხარვეზები აფერხებდა მინდობითი აღზრდის სერვისში ბავშვების განთავსებას და შესაბამისად გაიცა რეკომენდაციები ალტერნატიულ სერვისებში ბავშვის განთავსების გამართიერების შესახებ. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ე.წ. დროებითი მიტოვების შემთხვევებზე, როგორც დეინსტიტუციონალიზაციის შემადგენელ გარემოებაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების დეპარტამენტისათვის მომზადებული რეკომენდაციები შეილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ და მინდობითი აღზრდის შესახებ ბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მოიცავდა ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაცია; მიტოვების რისკის მქონე ოჯახებისათვის სერვისის გაძლიერება;

და დედათა და ჩვილთა თავშესაფარის სერვისის მოცულობის რაოდენობის გაზრდა კრიზისული ინტერვენციის სერვისის კუთხით — პრევენციული ფონდის, სახელმწიფო პრევენციული სერვისები, დროებითი ჩანაცვლებელი მოვლის სერვისის განვითარება; გადაუდებელი მინდობითი აღზრდის გახანგრძლივება და დაფინანსება, წინასწარ აღჭურვა ჩვილების მისაღებად და სხვ.

რეფორმის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ოჯახის დამხმარე და ბავშვთა პრევენციული მომსახურებების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელისშეწყობა. 2012 წლის ბავშვთა უფლებების სიტუაციური ანალიზის ანგარიშის თანახმად (SoS Children's Villages Georgia and GASW, 2012), ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარ-

ვშვების მიმართ ნებისმიერი სახის ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობისთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება სწრაფად და ბავშვზე მორგებული პროცედურების დაცვით უნდა ჩატარდეს.

„შესაბამის საგამოძიებო პროცედურებში ჩართული ბავშვები დაცული უნდა იყვნენ: მათი ტრავმირება და ვიქტიმიზაცია ყველანაირად უნდა იქნას თავიდან არიდებული. აღნიშნულ პროცესში მათ უნდა მიენდოთ იურიდიული დახმარება და სრულად მიენიჭოთ ყველა სხვა საჭირო გარანტია. ამასობაში სოციალური მუშაკები და სახელმწიფო მონიტორინგის განმარტოვებული შესაბამისი უწყებების სპეციალისტები რეგულარულ ვიზიტებს უნდა ახორციელებდნენ ყველა ინსტიტუციაში რათა უზრუნველყონ ბავშვთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის პროფესიული შეფასება. ინსტიტუციებში მოთავსებულ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წვდომა შეტყობინების მექანიზმზე, რათა განაცხადონ ძალადობის ან უდიერი მოპყრობის შესახებ“, - ნერია განცხადებდა.

UNICEF-ის განცხადებით, ინსტიტუციებში მოთავსებული ბავშვებისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური გეგმები, რათა განისაზღვროს შესაბამისი ალტერნატიული ზრუნვის ფორმა და საჭირო პროფესიული მხარდაჭერა. მათი თქმით, საჭიროა გაძლიერდეს თავად ალტერნატიული ზრუნვის და ოჯახის მხარდაჭერის მომსახურებები, რათა ინსტიტუციის დატოვების შემდეგ ბავშვებს, მათ ოჯახებსა და მათთან მომუშავე პროფესიონალებს ჰქონდეთ შესაბამისი მხარდაჭერა. მათივე თქმით, საჭიროა, შესაბამისი მონაწილეები დეინსტიტუციონალიზაციის ყველა ეტაპზე პატივს უნდა სცემდნენ ბავშვებისა და მათი ოჯახების პირადი სივრცის უფლებას.

„გაეროს ბავშვთა ფონდი გამოხატავს მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს დეინსტიტუციონალიზაციისა და ოჯახის მხარდაჭერის მომსახურებების შესახებ კონსტრუქციულ დიალოგს. ნებისმიერი სახის მხარდაჭერა უფრო მეტად უნდა იყოს მიმართული ოჯახების გაძლიერებისკენ და ბავშვების ოჯახებში შენარჩუნებისაკენ, ვიდრე დიდი ზომის ბავშვთა ინსტიტუციების დაფინანსებისკენ. გრძელვადიან პერსპექტივაში იუნისეფი მხარს დაუჭერს ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის მიზეზების კვლევას და დაეხმარება დეინსტიტუციონალიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებას და განხორციელებას და ხელს შეუწყობს ოჯახის მხარდაჭერი მომსახურებების გაძლიერებას“, - ნერია განცხადებდა.

გაეროს ბავშვთა ფონდი 2005 წლიდან მხარს უჭერს საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს და ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმას. იუნისეფი გააგრძელებს დაინტერესებულ მხარეების მხარდაჭერას დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულებაში და ყველა ბავშვისა და მათი ოჯახებისთვის ოჯახურ და თემზე დაფუძნებულ მზრუნველობის ხელშეწყობაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეინსტიტუციონალიზაციის თაპისი ბარიერებიც აქვს. იქნება ეს დაფინანსების ნაკლებობა, ინვესტიციების შენარჩუნება, საზოგადოებაში ინსტიტუციური აზროვნება, ოჯახების შფოთვისა და უნდობლობა თუ სხვადასხვა, ინფორმირებული მზრუნველობაში გადაყვანის - ამის შესახებ გაეროს ბავშვთა ფონდის განცხადებაშია აღნიშნული.

„ბავშვების ინსტიტუციებიდან გამოყვანისას საჭიროა სიფრთხილის დაცვა. ბავშვების ტრავმირების თავიდან ასაცილებლად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. საჭიროა დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვების შეფასება, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ბავშვების ოჯახურ და სათემო ზრუნვაში გადაყვანა და ამ პროცესში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვების საკუთარ ოჯახებში დაბრუნებას. აღნიშნულ პროცესში მხოლოდ ბავშვებთან მუშაობისა და კომუნიკაციის სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტები უნდა მონაწილეობდნენ“, - ნერია განცხადებდა.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ბა-

მომზადდა შუშუნა ყანაშვილმა

ქორწინება და განქორწინება - მოლოდინი და არსებული რეალობა

ქორწინებისა და განქორწინების რაოდენობა და მიმდინარე ტენდენციები მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. ორივე მათგანის სტატისტიკურ მაჩვენებლებს დიდი გავლენა აქვს ქვეყანაში არსებულ სოციალურ გარემოსა და სტატისტიკაზე. ორივე მათგანი გახლავთ მრავალფეროვანი მოვლენა და მათზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი.

საქართველოში, ბოლო ბოლო 10 წლის განმავლობაში, განქორწინების მაჩვენებელმა რეკორდულ ზღვარს მიაღწია, თუმცა მონაცემები სრულყოფილი და ზუსტი არ არის. ის მხოლოდ რეგისტრირებულ შემთხვევებს ეხება. არსებობს უამრავი მაგალითი, როდესაც მეუღლეები ფაქტობრივ თანაცხოვრებაში აღარ იმყოფებიან, თუმცა განქორწინება არ დაურეგისტრირებიათ. მხოლოდ მიმდინარე წლის დასაწყისში ოფიციალურად დაქორწინებული 10,5 ათასი წყვილიდან დაახლოებით 5,3 ათასი განქორწინდა (საქართველოს მოსახლეობას დაახლოებით 3,7 მილიონი ადამიანი შეადგენს), ამის შესახებ ინფორმაციას ქართული მედია ეროვნული სტატისტიკური სამსახურის, „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.

„წყვილები, ყველაზე ხშირად, თბილისში განქორწინდებიან. 2019 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, დედაქალაქში სამი ათასზე მეტი ქორწინება დაფიქსირდა, ხოლო განქორწინება -1,8 ათასზე მეტი“, — ნათქვამია „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში. რაც შეეხება რეგიონებს, თბილისის შემდეგ მაღალი მაჩვენებელი იმერეთის რეგიონში დაფიქსირდა, სადაც დაქორწინდა 1,7 ათასზე მეტი და განქორწინდა 919 წყვილი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იგივე პერიოდში ქორწინება გააფორმა ათასზე მეტმა, ხოლო განქორწინება — 429 წყვილმა. ქორწინება-განქორწინების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებში, სადაც მიმდინარე წელს 37 წყვილი განქორწინდა.

„2021 წლის განქორწინებების მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდება 2020 წლისგან, რომლის ანალოგიურ პერიოდში 5 ათასზე მეტი განქორწინება დაფიქსირებულა, მაგრამ ამ მონაცემებს თუ შევადარებთ ბოლო 10 წლის სტატისტიკას, მაშინ განქორწინებების მაჩვენებელი თითქმის 5-ჯერ არის გაზრდილი“, — ნათქვამია კვლევაში. „საქსტატის“ ინფორმაციით, კვლევაში განხილულია მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემები, ამიტომ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრი წყვილი სამოქალაქო ქორწინებას ანიჭებს უპირატესობას და არიან ისეთები, რომლებიც დაშორდნენ, მაგრამ ოფიციალურ განქორწინებას არ აფორმებენ. საქართველოში ქორწინებისთვის შედარებით პოპულარული სეზონი შემოდგომაა, ამ სეზონზე ქორწინების რეგისტრაციის 32% მოდის.

ქორწინებათა რაოდენობის შემცირების

პარალელურად, ბოლო წლებში პირველი ქორწინების ასაკი გაიზარდა. ქართველი დემოგრაფების აზრით, საქართველოში ქორწინებათა რაოდენობის შემცირების ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ ქვეყნის მოსახლეობა იზიარებს ევროპაში მიღებულ „გვიანი“ ქორწინების პრაქტიკას. ცხადია, განქორწინებების რაოდენობის ასეთი დრამატული ზრდის ტენდენცია მხოლოდ სოციალური რეალობით ვერ აიხსნება, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რაიმე რადიკალური გაუარესება არ ყოფილა. რეალურად განქორწინებების რაოდენობის ეს შემამფოთებელი ზრდა, უპირველესად, ქვეყანაში აქტიურად წარმოებული ფემინო-ლიბერალური პროპაგანდის ფონზე მიმდინარე ტრადიციული კულტურული ნორმების და ოჯახის ინსტიტუტის ფასეულობითი საფუძვლის რღვევის შედეგია.

თაშვის უფლებების ხარისხის გაზრდა თუ უნდოლო საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ? ამ კითხვას ფსიქოლოგი ზურა მხეიძე პასუხობს: „განქორწინების მიზეზად რამდენიმე ფაქტორს გამოვყოფდი. პირველი - რაც უფრო ვითარდება საზოგადოება, ის უფრო მეტად საუბრობს ქალის უფლებებზე, თავისუფლებაზე. 15-20 წლის წინ და უფრო ადრე განქორწინება საზოგადოდ ტრაგიკული მოვლენასთან ასოცირდებოდა, ახლა კი მსგავსი დამოკიდებულება შეიცვალა. მეორე მიზეზად ქალების უფლებებთან ერთად დამოუკიდებლობის ხარისხს დავასახელებ, რომელიც იზრდება, ანუ აღარ ვართ დამოკიდებული ჩვენს მეორე ნახევარზე, ქალსაც შეუძლია მატერიალურად უზრუნველყოფა და ოჯახებში, სადაც ორივე მუშაობს ეს დიდი ბედნიერებაა. თამამი ნაბიჯის გადადგმა უფრო ადვილია ქალისთვის, თუ მას აწყობილი აქვს სამსახურებრივი საკითხები და სტაბილური შემოსავალი აქვს. ეს ფაქტორი ახლა უფრო მეტად ახდენს გავლენას, ვიდრე 20 — 25 წლის წინ. მესამე ფაქტორი არის ზოგადი განქორწინების მიზეზი - სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ყველგან კარგი არ არის, ეს კი პრობლემებს იწვევს. რეალურად, ეს სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ განქორწინება უფრო გაადვილდა. ოჯახი, სადაც აკუმულირდება ყველას გასაჭირი, ცოლ-ქმრის ერთობა უკვე პრობლემური ხდება, ჩნდება ფსიქოლოგიური დატვირთვა, იზრდება დაძაბულობა. შედეგად კი პრობლემისგან გაქცევის სურვილი ჩნდება. დანარჩენ ფაქტორებად შეიძლება ადრეული მიზეზები დავასახელოთ: მაგალითად, ლალატი, სტანდარტული პრობლემები, რაც ურთიერთობაში იჩენს თავს. განქორწინების საფუძველი ხშირად, ქორწინების არამყარი საფუძველია, განსაკუთრებით მაშინ, თუ საზოგადოება ძალადობს ქალებზე. როცა გათხოვილი არა ხარ, იწყება კითხვები - „როდის თხოვდები?“, თუ 29



წლის ხართ, ახალი წელი იწყება სადღეგრძელოთი - „წელს მაინც გათხოვდი“, ანუ საზოგადოება ამას გთხოვს. ხშირად ქალები, იმიტომ კი არ თხოვდებიან, რომ მამაკაცი მოეწონათ, შეუყვარდათ, არამედ იმიტომ, რომ თავი სრულყოფილად ჩათვალონ, სტატუსი მორიგონ საზოგადოებაში. საზოგადოების მხრიდან, ასეთი ზენოლის გამო, შეცდომის დაშვების ალბათობაც დიდია.

ქორწინებისთვის არ არის საკმარისი სიყვარული და სასიყვარული ურთიერთობები. ქორწინება ეს არის გააზრებული პასუხისმგებლობები. როდესაც ქორწინდები და ამბობს, რომ „ამას მამაჩემი გამიკეთებს, ან ამას დედაჩემი გამიკეთებს“, ეს ნიშნავს, რომ უკვე არ ხარ მზად ქორწინებისთვის. ყველაწარმო პასუხისმგებლობა უნდა აიღო საკუთარ თავზე. ჩვენთან ეს პრობლემაა, რომელიც ძალიან მწვავედ დგას. საქართველოში პერსონა ძალიან ძნელად ყალიბდება, რადგან მას ამაში ოჯახი არ უწყობს ხელს. ოჯახი 40 წლის ადამიანსაც დასდევს კულში. ასეთ დროს, გააზრებაც კი გიჭირს, იმის თუ რას ნიშნავს პასუხისმგებლობა. მაგალითად, ხშირად ხალხი სთხოვს მთავრობას ისეთ რაღაცას, რაც საერთოდ არ არის მთავრობის საქმე. ინფანტილური დამოკიდებულებაა ხშირად საზოგადოების მხრიდან გარკვეული საკითხების მიმართ. როდესაც ადამიანი ინფანტილურია, არა აქვს მნიშვნელობა ის 40 წლის ასაკში დაოჯახდება თუ 25 წლის ასაკში. მას არ შეუძლია გაიაზროს პასუხისმგებლობა. ასევე მინდა გამოვყენებარყოფილი მეორე და მესამე ქორწინებების მზარდ სტატისტიკას, რომელიც წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაზრდილია. საზოგადოებაში იყო ასეთი ხუმრობა, ერთი და იგივე ქალები თხოვდებიანო. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანი საზოგადოებრივი წნეხისგან გათავისუფლდა, მეორეს მხრივ პასუხისმგებლობების აღება ნაკლებად მეუძლია. ქორწინებისთვის სიყვარული არასაკმარისი პირობაა. რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. შენ უნდა გაიაზრო, რომ იღებ პასუხისმგებლობას ადამიანთან ცხოვრებაზე. თაფლობის თვე შემთხვევით კი არ ჰქვია, სად გინახავთ თაფლობის 10 წელი?!”

ოჯახის დანგრევის მთავარ მიზეზად ფსიქოლოგები ადამიანური ურთიერთობების გაუფასურებას და წინა პლანზე მატერიალური საკითხების წამოწევისას ასახელებენ. „ჩვენ, უპირველესად, უნდა ვისწავლოთ ლაპარაკი. იმ სიტყვებში, რომელსაც ჩვენ წარმოვითქვამთ, აზროვნების მიერ ფორმულირებული აზრი დევს, მაგრამ ქვეტექსტი ინტონაციაში, წინადადების წყობაში დევს. ჩვენ არ ვიცით ლაპარაკი, შინაგანი განწყობილებით ვესაუბრებით და ვერ ხვდებიან ადამიანები, თავიანთი ჩვეულებრივი ლაპარაკით რას

წლის ხართ, ახალი წელი იწყება სადღეგრძელოთი - „წელს მაინც გათხოვდი“, ანუ საზოგადოება ამას გთხოვს. ხშირად ქალები, იმიტომ კი არ თხოვდებიან, რომ მამაკაცი მოეწონათ, შეუყვარდათ, არამედ იმიტომ, რომ თავი სრულყოფილად ჩათვალონ, სტატუსი მორიგონ საზოგადოებაში. საზოგადოების მხრიდან, ასეთი ზენოლის გამო, შეცდომის დაშვების ალბათობაც დიდია.

ქორწინებისთვის არ არის საკმარისი სიყვარული და სასიყვარული ურთიერთობები. ქორწინება ეს არის გააზრებული პასუხისმგებლობები. როდესაც ქორწინდები და ამბობს, რომ „ამას მამაჩემი გამიკეთებს, ან ამას დედაჩემი გამიკეთებს“, ეს ნიშნავს, რომ უკვე არ ხარ მზად ქორწინებისთვის. ყველაწარმო პასუხისმგებლობა უნდა აიღო საკუთარ თავზე. ჩვენთან ეს პრობლემაა, რომელიც ძალიან მწვავედ დგას. საქართველოში პერსონა ძალიან ძნელად ყალიბდება, რადგან მას ამაში ოჯახი არ უწყობს ხელს. ოჯახი 40 წლის ადამიანსაც დასდევს კულში. ასეთ დროს, გააზრებაც კი გიჭირს, იმის თუ რას ნიშნავს პასუხისმგებლობა. მაგალითად, ხშირად ხალხი სთხოვს მთავრობას ისეთ რაღაცას, რაც საერთოდ არ არის მთავრობის საქმე. ინფანტილური დამოკიდებულებაა ხშირად საზოგადოების მხრიდან გარკვეული საკითხების მიმართ. როდესაც ადამიანი ინფანტილურია, არა აქვს მნიშვნელობა ის 40 წლის ასაკში დაოჯახდება თუ 25 წლის ასაკში. მას არ შეუძლია გაიაზროს პასუხისმგებლობა. ასევე მინდა გამოვყენებარყოფილი მეორე და მესამე ქორწინებების მზარდ სტატისტიკას, რომელიც წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაზრდილია. საზოგადოებაში იყო ასეთი ხუმრობა, ერთი და იგივე ქალები თხოვდებიანო. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანი საზოგადოებრივი წნეხისგან გათავისუფლდა, მეორეს მხრივ პასუხისმგებლობების აღება ნაკლებად მეუძლია. ქორწინებისთვის სიყვარული არასაკმარისი პირობაა. რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. შენ უნდა გაიაზრო, რომ იღებ პასუხისმგებლობას ადამიანთან ცხოვრებაზე. თაფლობის თვე შემთხვევით კი არ ჰქვია, სად გინახავთ თაფლობის 10 წელი?!”

„გაბაპერილი“ მოლოდინები - გაიკვავა, რომ წყვილები უმეტესად გაზაფხულზე და შემოდგომაზე შორდებიან. მანამდე ისინი ცდილობენ, ქორწინებას მეორე შანსი მისცენ. ხოლო თუ არაფერი გამოვიდა, განქორწინება გარდაუვალია.

***სირში პროპაგანდა** - სპეციალისტები ექსპერიმენტის ფარგლებში ახალგაზრდა წყვილს დააკვირდნენ, საიდანაც დამტკიცდა, რომ ფილმებზე საუბარსაც კი შეუძლია ნახევარმდე შეამციროს განქორწინების რისკი. ასე რომ, პრობლემებზე გულახდილად საუბარმა შესაძლოა მართლაც გადაარჩინოს ქორწინება.

***ურთიერთობის ბაზარის უსწარმობა** - მეტი დედამიწვილი განქორწინების ნაკლებ რისკს ნიშნავს ზრდასრულობის ასაკში. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანებს, რომლებიც დედ ოჯახებში გაიზარდნენ, ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გაძლიერების უკეთესი უნარი აქვთ. ეს უნარი კი შეიძლება მათ ქორწინების გადარჩენაში დაეხმაროს.

***მოსამართლის სურვილის არქონა** - თუ პარტნიორებს ჩხუბის დროს ერთმანეთის მოსმენა არ შეუძლიათ, მაშინ განქორწინების რისკი ბევრად მაღალია.

***სოციალურ ქსელში ცხოვრება** - ცოტა არაა ცოლ-ქმარს შორის ფეისბუქის ან თვითურის გამო ისეთი სერიოზული კამათი, რომელსაც განქორწინება მოჰყოლია.

***ფინანსური დაბალი დონე** - წყვილი, რომელიც ბევრს კამათობს ფულზე, განქორწინების მეტი რისკის წინაშე დგას, მაშინაც კი, თუ ორივე პარტნიორის შემოსავალი საკმაოდ მაღალია.

***განათლებლის დაბალი დონე** - კვლევებმა აჩვენა, რომ საცხოვრებელი ქვეყნის, გენდერისა და ყველაფრის მიუხედავად, განათლებულ წყვილებს შორის განქორწინების შემთხვევები ნაკლებია.

ამ სიის ბაზრქმეობა, ალბათ, უსასრულოდ შეიძლება. ამიტომ, ეცადეთ, ნააღვრე სიტყვებით დაუშვათ, იმუშაოთ შავი თეთრი თაფლი და თქვენ თავად მიხვდებით, რომ ეს გადინიერი ქორწინების ბარანტი იქნება.

მომზადდა
ნათუნა პინაპილია



„ყოველი წარმატება გაძლევს ძალასა და მოტივაციას“

თანამედროვე გაგებით ქოუჩინგი - ესაა პროცესი ან ხელოვნება ისეთი მოვლენების შექმნისა, რომლებიც აიძულებს კლიენტის სვლას მისი მიზნებისკენ და უზრუნველყოფს მისი პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. ქოუჩინგი - ურთიერთობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც შემუშავებულია ქოუჩის მიერ კლიენტთან ერთად და აქვს კლიენტის პოტენციალის გამოვლენებისა და განვითარების უნარი.



სოფიო შანგაშვილი დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ის მშობლიურ რაიონში დაბრუნდა და რამდენიმე ადგილას მოსწავლე ბედი. მიუხედავად იმისა, რომ ბანკში საქმე არცთუ ისე ცუდად მიდიოდა, ახალმა კორონა ვირუსმა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც იმოქმედა და ახალი ცხოვრების დაწყებისკენაც უბიძგა.

სოფიო კახეთში ერთადერთი ქოუჩია. როგორ მოხვდა ის ამ სფეროში, რა სირთულეები გადალახა ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედა და რა ასწავლა მას ქოუჩინგმა, ამას თავად მისგან შეიტყობთ.

-დავიბადე და გავიზარდე დედოფლისწყაროში, თბილისში ტურინგის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მე-3 კურსზე ვიყავი, როცა ფინანსური პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება მომიწია და ასე აღმოვჩინე საბანკო სექტორში. „TBC“ იყო ის ორგანიზაცია, რომელიც მაშინ ნათელ ნერტილად მომეგონა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში დაბრუნება მომიწია, სწავლის შეწყვეტაზე არ მიფიქრია, სხვადასხვა აპლიკაციების დახმარებით ვახერხებდი, არ ჩამოვრჩენოდი სწავლის პროცესს, დედაქალაქში კი მხოლოდ გამოცდების ჩასაბარებლად მეველო. 240-ლარიანი ხელფასიდან 160 ლარს ყოველთვიურად სწავლის გადასახადისათვის გადავდედი ხოლმე და უზომოდ მიხაროდა, რომ ჩემი შრომით ვამომუშავებელი ფულით ვიძენდი ყველაზე მნიშვნელოვანს და მიზნისკენ სვლას არ ვწყვეტიდი, მიუხედავად ბევრი პრობლემისა.

შემდეგ საქმიანობა სხვა საფინანსო ორგანიზაციაში გავაგრძელე, ამასობაში ოჯახიც შევექმენი და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ შინაგანად გამოვიფიტე და ამ სფეროში საკუთარი თავი ამოწურული მყავდა. ჩემი ხასიათი და ბუნება კი ამ შეგრძობას ვერ ემორჩილებოდა და მუდმივი განვითარება, წინსვლა სურდა. მქონდა დეპრესიული პერიოდებიც — სამსახური, ორი შვილი, რობოტული ცხოვრების სტილი — საჭირო იყო რაღაც ცვლილება.

რა აღმოჩნდა თქვენს ცხოვრებაში გარდამტეხი ცვლილება?

- გადაწყვიტე, კონსულტაცია გამეწყო ფსიქოლოგთან, მისი ძეგნა კი, როგორც ხდება ხოლმე, დავიწყე ინტერნეტში და გადავანედი ქოუჩინგს. მაშინვე მიიპყრო ამ სფერომ ჩემი ყურადღება. რადგან საერთოდ არ მსურდა წარსულში ქექვა, უბრალოდ მიწოდდა ეს მძიმე პერიოდი უკან მომეტოვებინა და მეტი შემართებით გამეგრძელებინა ცხოვრება, მეტი სიამოვნებით. ქოუჩინგი კი სწორედ ამის შესაძლებლობა მესახებოდა.

რატომ გადაწყვიტეთ, თავად დაუფლებოდი ამ პროფესიას?

- ქოუჩინგის შესწავლა, დაახლოებით, გასულ წელს დავიწყე, მანამდე მხოლოდ საკუთარ თავზე ვმუშაობდი. ჩემს პიროვნებაშიც ამ დროს დიდი ძვრები მოხდა, მივიღე ჩემთვის წარმოუდგენელი გადაწყვეტილება და ყველაზე რთულ პერიოდში სამსახურიდან წამოვედი. მიუხედავად შიშისა, ეს ნაბიჯი თამამად გადავდე, რადგან ვგრძნობდი, რომ რაღაც ძალიან ძლიერს, ძალიან ჩემიულს ვეჭიდებოდი.

ვიფიქრე, რომ შევისწავლიდი ამ პროფესიას და შევძლებდი საკუთარი ცხოვრება თავადვე დამებრუნებინა სწორ რელსებზე. ეს იყო ის, რამაც პირველი ნაბიჯი გადამადგმევინა, შემდეგ, სწავლის პროცესში მქონდა შეგრძნება, თითქოს თავიდან დავიბადე და ჩემი ნამდვილი მე გავიცანი. მივხვდი, რომ ეს ის პროფესია იყო, რომელიც თურმე ჩემი იყო, თურმე ჩემთან იყო და იყო პასუხი იმ კითხვაზე, რომელსაც მანამდე ვერასდროს ვპასუხობდი, თუ რისი კეთება მინდოდა რეალურად. ყოველთვის ვცდილობდი, სასარგებლო ვყოფილიყავი სხვა ადამიანებისათვის, უცებ კი დავინახე, რომ მე შევძელი მათ პიროვნულ განვითარებაზე მეზრუნა, მით უფრო რეგიონში, სადაც წვდომა სხვადასხვა სერვისთან საკმაოდ რთულია. მინდოდა ვყოფილიყავი მაგალითი ადამიანებისათვის, რომ რეგიონშიც შეიძლება ისწავლო, განვითარდე, საყვარელი საქმე აკეთო ისე, რომ არ მიატოვო შენი წინაპრების დანატოვარი მინა-წყალი.

28 წლის ასაკში აღმოვაჩინე პროფესია, რომელიც მართლაც ჩემია, რომელსაც თავადაც სიამოვნებით ვაკეთებ და სხვისთვისაც სარგებლის მოტანა შემიძლია. მინდა, ახალგაზრდებს დავეხმარო სწორი მიზნების დასახვასა და სწორი გზის არჩევაში, საკუთარი სურვილებისა და შესაძლებლობების აღიარებაში და რაც მთავარია, საკუთარ თავში ძალისა და რესურსების პოვნაში.

ამ ყველაფრის რეალიზების საშუალება კი ქალბატონ ხათუნა მუზაშვილთან, ქოუჩინგის საერთაშორისო ასოციაციაში მომეტა. ეს არის უძლიერესი ლექტორებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც ფაქტობრივად ერთი დიდი ოჯახია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მე მომეცა დისტანციურად სწავლის საშუალება, რაც დამატებითი კომფორტია ჩემთვის და რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. დატვირთული გრაფიკის, სამსახურის, შვილების პარალელურად წარმოუდგენლად რთულია, გამოიხატო დრო და რესურსი და თბილისში იარო ტრენინგებზე დასასწრებად. რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს ბევრ სერვისზე ხელი არ მიუწვდებათ, ქოუჩინგის სკოლაში კი მე ეს კომფორტიც მქონდა. ხშირად ჩემს შვილებთან ერთად ვესწრებოდნე ლექციებს. მათ ყველა ლექტორი ცინოებს, თუმცა ეს არ ყოფილა მიზეზი, რომ ჩემს მიზანზე უარი მეთქვა.

როგორი იყო ძველი სოფიო?

- წლების წინ რომ ეკითხათ ჩემთვის, როგორი ადამიანი ვიყავი, ვიტყვოდი, რომ მე ერთი მიშპარა, მერყევი ადამიანი ვარ, რომელმაც არ იცის, რა უნდა ცხოვრებაში. დღეს, საკუთარ თავზე ბევრი მუშაობის შემდეგ, შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ადამიანი არის უნიკალური, განსაკუთრებული და მათ შორის ვარ მეც. სწორედ ამის გაცნობიერებით იწყება საკუთარ თავში მეტი დადებითი ძეგნის პროცესი, რასაც თვითშეფასების ამალგებამდე მივყავართ. საკუთარი რესურსების აღიარება, დადებითი მხარეებზე ხმაბალი საუბარი, დამატებითი უნარების პოვნა — ეს ყოველივე ქოუჩინგმა შემიძლია. საკუთარი გონების კუნჭულებს ვუკაკუნებდი და იქ დამალულ „მეს“ ვეუბნებოდი, გამოდი, შენ არ ხარ მიშპარა, შეიძლება იყო ფრთხილი ან ზედმეტად პასუხისმგებელიანი, მაგრამ ეს არაა მიშპარა. ჩემი ყველა კუთხე რომ ასე შემოვიარე, გავაცნობიერე, რომ მეც ბევრი კარგი მხარე მაქვს — ძალიან გულწრფელი ვარ და უანგაროდ შემიძლია სიტბოსა და სიყვარულის გაცემა.

როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება ქოუჩინგის სკოლაში სწავლის დაწყების შემდეგ?

- ამ სფეროში დამწყები ვარ, დიდი

გამოცდილება არ მაქვს, თუმცა საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანებთან ურთიერთობის ხიბლი, მათ თვალეში ნაპერკლეების დანახვის სიხარული შევიგრძნო. როცა ვხედავ, როგორ იზრდება ადამიანი ჩემ თვალწინ, როგორ ემატება თავდაჯერებულობა და აღარ ერიდება საკუთარ თავზე კარგის თქმა, როგორ ისახავს მიზანს და დგამს მისკენ მიმავალ ნაბიჯებს — საოცარი შეგრძნებაა, რომელიც სასიცოცხლო ენერგიით მავსებს.

ამ ეტაპზე მხოლოდ სესიებით შემოვიფარგლები, თუმცა, გეგმაში მაქვს ტრენინგებიც, რომლებიც სკოლებიდან დაიწყება და შემდეგ ფართო საზოგადოებასაც მოიცავს. მინდა, რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს მაქსიმალურად დავეხმარო, განსაკუთრებით კი ქალებსა და ახალგაზრდებს. ასევე, ჩემი დიდი სურვილია, შევძლო ემიგრანტების დახმარება.

დედა მყავს ემიგრაციაში და ჩემთვის ძალიან ახლო და ნაცნობია ის ტკივილი, რომელსაც სამშობლოსა და ოჯახისაგან შორს მყოფი ადამიანები განიცდიან. არა მხოლოდ ისინი, მათი ოჯახის წევრებიც, რომლებიც უძვირფასეს მომენტებს ვერ უზიარებენ დედას, მეუღლეს, დას, მამას... პირადად მეც მქონდა ასეთი ორმაგი ემოცია, როცა შვილები მეყოლა — ეს იყო, ერთი მხრივ, უდიდესი სიხარული დედად გახდომისა, მეორე მხრივ კი, უდიდესი სევდა, რომ დედაჩემი ამ დროს ჩემს გვერდით ვერ იყო. მგონია, რომ ვიცი, რა სჭირდებათ ამ ადამიანებს და იმედი მაქვს, შევძლებ ოდნავ მაინც შევემსუბუქო ის საკმაოდ მძიმე ყოველდღიურობა, რომელშიც ცხოვრებაც მათ უწევთ. დედამ მითხრა — აქ ყოფნისას წლები „დაპაუზებული“ მაქვს, თითქოს არც ვცხოვრობო. მინდა, ასეთი წლები ფერადი და ხალისიანი გაუფხადო ჩვენს ემიგრანტებს.

ქართულ რეალობაში რეგიონში ცხოვრებას, დადებით მხარეებთან ერთად, ბევრი ნეგატიური ფაქტორი ახლავს თან. თქვენ შემთხვევაში რა მიგაჩნიათ უარყოფით მხარედ და როგორც ცდილობთ, ეს ყველაფერი დადებითისაკენ შემოატრიალოთ?

-ბევრი ადამიანისათვის დღემდე არაა მისაღები რეგიონში თუ სოფელში ცხოვრება, პირადად მე მსგავსი დამოკიდებულება არ მქონია, ალბათ იმიტომ, რომ აქ დავიბადე, გავიზარდე და ესაა გარემო, სადაც თავს შინ ვგრძნობ. თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ აკლია რეგიონს, დაწყებული პიროვნული ზრდის შესაძლებლობებიდან თავისუფალი დროის აქტივობებით დამთავრებულს. ეს გარემო ჩემთვის უარყოფითად ვერ შეფასდება, ალბათ, არასრულყოფილს უფრო დავარქმევდი — ვფიქრობ ხოლმე, რა შეიძლება მივცე ჩემს შვილებს, როგორ ვიზრუნო მათ ფიზიკურ თუ სოციალურ აქტივობებზე და ვხვდები, რომ დიდი არჩევანი ნამდვილად არ მაქვს.

სკოლები საკმაოდ კარგ განათლებას აძლევენ ბავშვებს და ძალიან განათლებული თაობა ჰყავს რეგიონებს, თუმცა, ამის მიღმა არაფერი ხდება. ბევრი რამეა გასაკეთებელი და გული მწყდება, რომ მეტ შესაძლებლობებს ვერ ვთავაზობთ ამ ადამიანებს. ჩემთვის ეს არაა იმის მაპროვოცირებელი ფაქტორი, რომ აუცილებლად დედაქალაქში ვიცხოვრო. პირიქით, ეს მმატებს მოტივაციას აქ, ჩემს გარემოში შევექმნა შესაძლებლობები. ახლო კონტაქტი ბუნებასთან, ჯანსაღი გარემო, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები — რთულია, ამ ყველაფერზე უარი თქვა, უმჯობესია, ის მეტად სრულყოფილი გახადო.

თქვენი აზრით, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს რეგიონის საზოგადოება?

- ისევე, როგორც განსხვავდება რეგიონში მცხოვრები ხალხის ყოველდღიურობა, განსხვავდება მათი გამოწვევებიც. შედარებით ასაკოვანი ხალხი, როგორც წესი, აგრარული საქმიანობითაა დაკავებული, ახალგაზრდებისათვის კი, სამსახუროდ, ბევრი არჩევანი არაა, ისინი ან სწავლის გაგრძელების მიზნით ტოვებენ თავიანთ სახლებს, ან ცდილობენ იქვე დასაქმდნენ იმ მცირე სამუშაო ადგილებზე, რომლებსაც მათ რეგიონის გარემო სთავაზობს.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ რეგიონი მოკლებულია შესაძლებლობებს და არა რესურსს — ძალიან ნიჭიერი და განათლებული თაობა მოდის, რომელსაც მეტი გასაქანი სჭირდება. ცხოვრებაში ცვლილების შეტანის სურვილი დიდია, გზები — ძალიან ცოტა.

როგორია საქმიანი ქალის ფენომენი რეგიონში და თქვენ შემთხვევაში, საზოგადოების როგორ დამოკიდებულებას შეეჩებო?

- ჩემს ირგვლივ ბევრი ფიქრობდა, რომ მე ძლიერი ქალი ვიყავი, რადგან მყავს პატარა შვილები, პარალელურად კი მქონდა სამსახური. სამსუხაროდ, ჰგონიათ, რომ ქალმა თავი შვილების აღზრდას უნდა მიუძღვნას და როცა მათ დამოუკიდებლად ცხოვრებას მიაჩვენებს, მხოლოდ შემდეგ შეუძლია საკუთარ კარიერაზე ფიქროს. არადა, თუნდაც რამდენიმეწლიანი დისტანციურადაა ინვესტია საკუთარ ძალებში დაცვებას და შემდეგ გაცილებით რთულია თავი წარმატებულ, საჭირო ადამიანად აღიქვა.

ძალიან ძლიერი ქალები ცხოვრობენ რეგიონებში და მნიშვნელოვანია, მათ დაინახონ, ირწმუნონ თავიანთი ძალა. ჩემი მიზანიც ესაა, თითოეულ მათგანს ვაჩვენო ის ძლიერი ქალი, რომელიც თავადაა. არ ვუთხრა, რომ სადღაც განუსაზღვრელ რეალობაში არსებობენ ძლიერი ქალები, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს. მინდა, ვუთხრა, რომ თავად არიან ქალები, რომლებსაც აქვთ წარმატების ყველანაირი რესურსი.

რისთვის იბრძვით თქვენ, რისი შეცვლა გსურთ?

- მინდა ვიყო „სინათლის შუქურა“ და სინათლე, ცნობიერება შემოვიტანო, ვუჩვენო მაგალითი იმისა, რომ ნებისმიერ ასაკში უნდა ჰქონდეთ განვითარების სურვილი. მინდა ვანახო, რომ სირცხვილი სულაც არაა რეგიონში ცხოვრება, პირიქით... და ყველა საქმე, რომელსაც ეს ადამიანები აკეთებენ, უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. მინდა, სხვა კუთხით დავანახო თავიანთი ცხოვრება და ვაჩვენო, თუ როგორი სასარგებლოები და საჭიროები არიან ისინი ერთმანეთისათვის.




და რა უნდა გააკეთოს ადამიანმა იმისთვის, რომ საკუთარი თავისა და ცხოვრების ნამდვილი მიზნისკენ სავალი გზის პოვნა შეძლოს?

- ადამიანმა ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, კომფორტის ზონა უნდა დატოვოს, იპოვოს საკუთარი საქმე — ამას ძალიან დიდი მუშაობა სჭირდება. მას უნდა სწყუროდეს საკუთარი გზის პოვნა და არ დაკმაყოფილდეს იმ მცირეებით, რასაც ცხოვრებისაგან იღებს. აუცილებელია, მიზანი გულისაგან მოდიოდეს, აიღო პასუხისმგებლობა, გაბედო, დაძლიო შიში და ისწავლო, გაიზარდო და შეიცვალო. ცხოვრების ნებისმიერი პერიოდში ადამიანი ტრანსფორმაციულ ეტაპებს გადის — მთავარია, გადაწყვიტო პირველი ნაბიჯის გადადგმა.

ყოველი წარმატება, ყოველი მიღწეული მიზანი გაძლევს ძალასა და მოტივაციას, არ გაჩერდეს და წელში გამართულმა გააგრძელო სვლა.

ესაუბრა ინგა შილაშვილი

ტრავმის მიუხედავად ლაშა ბექაური ოლიმპიადაზე იჭიდავეს



თბილისში დაბრუნებულ ძიუდოისტ ლაშა ბექაურს (90) გარკვეული გამოკვლევები ჩაუტარდა, სრულყოფილი სურათის მისაღებად ისევ სჭირდება დამატებითი კვლევები. თუმცა, მთავარ კითხვაზე პასუხი უკვე მიღებულია - მხარი არც მოტეხილია და არც - ნაღრძობი, მას მხრის მყესი აქვს დაზიანებული, ანუ ოლიმპიადაზე მის გამოსვლას საფრთხე არ ემუქრება.

ექიმებმა ჯერ კიდევ ბუდაპეშტში, მსოფლიოს ჩემპიონატზე (შეგახსენებთ - ბექაური იქ დაშავდა, გუნდურ ტურნირზე) გამორიცხეს სერიოზული ტრავმა, რაც გამოკვლევებმაც დაადასტურა. ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი მაშინვე იმედოვნებდა, რომ დაზიანება არ იქნებოდა სერიოზული და ბექაური ოლიმპიადაზე ჭიდაობას შეძლებდა. მისი თქმით, საბოლოო დასკვნას ხვალ დადებენ, როცა ბექაურს ყველა საჭირო გამოკვლევა ჩაუტარდება.

წიგნად აკინძული ნიჭიერ ქალთა ბაღერია

საქართველოში ძველად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც წინმო რეკვიავილის ავტორობით გამოცემულ წიგნებს და ყოველთვიურ რეგიონალურ ჟურნალებს „რაჭველები“ და „სამებრელო“-ს არ იცნობდნენ.

ახლახან, მან სხვადასხვა დროის, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ნიჭიერ ქალთა გალერეას მიუძღვნა მაღალპოლიგრაფულ დონეზე გამოცემული ორტომეული წიგნი „საქართველოს მარგალიტები“ და „სამყაროს სამკაული“, რომლის წარდგინებაც თბილისში არტოს ბაღში გაიმართა.

ლონისძიება გახსნა ამ შესანიშნავი წიგნის ავტორმა და ვრცლად ისაუბრა ლიდერი ქალების ღვაწლზე. ორივე წიგნი მიმოიხილა გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილემ ნანა ჭიჭინაძემ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთ „შირაქის“ მთავარმა რედაქტორმა ინგა შიოლაშვილმა, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა წიგნების წარდგინებაზე, სიამაყით აღნიშნა, რომ რაიონიდან სამი ღვაწლმოსილი ადამიანი; ციური დარჩიაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საოცირებული პროფესორი, ციციხო ხარხელაური, თბილისის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის ყოფილი თავჯდომარე და ნანა ჭიჭინაძე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე არის წარმოჩენილი.

სიტყვით გამოვიდნენ: ასათ ტყაბლაძე, ნაზი სარჯველაძე და სხვები. წარდგინებას დიდ ხიზლს მატებდა ანსამბლ „ჯაბადარის“ მიერ შესრულებული ეროვნული ცეკვები (ხელმძღვანელი მარია ჟღენტო) და ანსამბლ „გვირილას“ სოლისტების მიერ გულში ჩამწვდომი პოპულარული ქართული და ნაპოლიტანური სიმღერები (ხელმძღვანელი ერნა წიფურია)

მარიკა პოპიაშვილი

მეუღლე ნანა გოზალიშვილი; შვილები: ირმა, ინგა ბეგაშვილები; სიძეები: გორა ალუღიშვილი, გია ლეკაშვილი; შვილიშვილები: დათო, ნიკა, გიორგი, ნინო; რძალი მარიამ დიასამიძე იუნკებიან

გარდაცვალებას დაიკრძალა 20 ივნისს, ქ. დედოფლისწყაროში.

შოთა ბაგაშვილის

ციციხო ლეკაშვილი, ნათელა იაკობიშვილი, ნაზი პოპიაშვილი, ლალი ბასილაშვილი და ნაირა გორაშვილი ოჯახებით თანაგრძობას უცხადებენ ნანა გოზალიშვილს მეუღლის, ირმა და ინგა ბეგაშვილებს მამის

გარდაცვალების გამო.

შოთა ბაგაშვილის

ს ს მ ვ ა ილიკო შარვაძე

ნეტავ კიდევ რამდენი ზაფხული და ზამთარი მოვა, ჩემო ერთადერთო შვილო, ჩვენს შეხვედრამდე! მოვიდა 21 ივნისი, შენი დაბადების დღე, გილოცავ ჩემო სიყვარულო. ამ დღეს მეცხრედ ვხვდებით უშენოდ, ძალიან მიჭირს უშენობა, მენატრები, ვლოცულობ შენი ლამაზი სულისთვის.



ჩემო დიდი ტკივილო, ვიცი, ცოცხალი რომ ყოფილიყავი, როგორი ზემოთ აღნიშნული ამ თარიღს შენს ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.

47 წმინდა სანთელი იქნება მხოლოდ შენი საჩუქარი დაბადების დღის აღსანიშნავად შენი უბედური დედისგან. ასეთ საჩუქარს არ იყავი ჩვეული, შვილო, ჩემგან, მაგრამ ახლა მხოლოდ ესაა დამრჩენია შენთან სიახლოვისთვის, ჩემო ბიჭო. მხიარულების ნაცვლად დედის მწარე ცრემლი დაგედინება გულზე. ერთადერთი შვილის დაკარგვა დიდი ტკივილია, მაგრამ თავს ზევით ძალა არა მაქვს, ჩემო ილიკო.

შენ დედისერთა კი იყავი, მაგრამ გამხსენებელი ძალიან ბევრი გყავს: პირველ რიგში, შენი პატარა შვილები - ნია და ილიკო, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მეგობრები, შენი წერეთლის კორპუსის მეზობლები და ძალიან დიდი სამეგობრო თბილისში. მაღლობა ყველა იმ ნათესავს, მეგობარს და ახლობელს, ვინც ამ დღეს გაგიხსენებს, თუნდაც ერთი ცრემლი ჩამოუვარდება თვალიდან, ჭიქას ასწევს და იტყვის: დღეს ილიკოს დაბადების დღეა და ცოცხლად გაუმარჯოსო. წუთისოფელი ისედაც წუთია, ერთი გაეღვება. სიცოცხლე ხანმოკლე მოლანდებია, მაგრამ შენი სიცოცხლე კიდევ უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა, მხოლოდ 38 წელი გაკმარა ბედისწერამ, იქნებ იმიტომ იყო, რომ სულ ყოველთვის, ყველაფერი გეჩქარებოდა, ყველაფრის მოსწრებას ცდილობდი, ჩემო ილიკო.

გაქრა შენი ოცნებები და მომავლის იმედები. ვცოცხლობ იმ რწმენით, რომ შენი სული სულ ჩემთან არის, არასად არ წასულხარ, შენი სახე და ლამაზი ღიმილი ყოველ წუთს თან დამყვება შვილო. ერთი დღეც არ არსებობს შენი უბედური დედისთვის შენზე ფიქრის გარეშე.

ძალიან დიდი ტკივილია, როცა შვილმკვდარი დედა იგონებს შენს დაბადების დღეს და წერს ნეკროლოგს, მაგრამ რა ვქნა, ამასაც უნდა გავუძლო, შვილო, ძალა უნდა მოვიკრიბო. მოვიდე შენს სამუდამო განსასვენებელთან, აგინთო სანთლები და ვილოცო შენი სულისთვის, ჩემო მარად ახალგაზრდა ბიჭო. ძნელია, ვიყო ცოცხალი და მენატრებოდე, შევცქეროდე შენს სურათებს და შენს მაგივრად მათ ვეფერებოდე. მაინც რამდენად ძლიერი უნდა იყო, რომ დედამ ეს ყველაფერი აიტანო. მუდმივად შენზე ფიქრით კი ვერ მაძლევინებს იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია. ვიძინებ იმ სურვილით, რომ იქნებ სიზმარში მაინც გნახო.

ჩემო ილიკო, ძნელია შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ უფრო ძნელია უშენობა ანმყოფი. უშენოდ ჩემი ცხოვრება გაუფერულდა. შენ მოახერხე სიკვდილის დამარცხება იმით, რომ დატოვე შვილები და იცოცხლებ მანამ, სანამ შენი შვილები და შენთვის უცნობი შვილიშვილები იქნებიან ამ ქვეყანაზე. მათი ლამაზი ცხოვრებით, შენი სახელი სულ გაბრწყინებული ყოფილიყოს.

შენ ხომ მანდაც გრძნობ, შვილო, რომ დღეს ჩემს სიცოცხლეს სიცოცხლე აღარა ჰქვია, მხოლოდ შენთან შეხვედრის იმედით ვუძლებ ამ დიდ ტკივილს, ჩემო ერთადერთო სანთელო.

უფაღს ვთხოვ, მალე გამიყვანოს ამ ტანჯული ცხოვრებიდან. დავილაღე, შვილო. კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს და იმედი მაქვს, იმ უსასრულობაშიც იპოვი შენს უბედურ დედას და მონატრებული ტკბილად ჩაგიკრავს გულში.

სამარადუბო შეხვედრამდე, მოგიკვდეს დედა, ჩემო ილიკო!

შენი მონატრებული დედა
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

თანაკლასელები: ლალი პოპიაშვილი, ნანა სეხნიაშვილი, ნელი ყაჭაშვილი, ლია გომელაური, ნანული ელიოზაშვილი, ნელი პოპიაშვილი, ავთო ქურხულიშვილი, ლადო ხატიაშვილი, ანზორ კირვალაძე, ავთანდილ იგნატიევი, ავთო თეთრაული, მიხეილ პავლიაშვილი, გელა ტატუნაშვილი, იუნკებიან

ნუგზარ (ჯაბა) ჯაბაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ქართული ფილმის სამი ჯილდო ნიუ იორკის კინოფესტივალზე

ლევან კოლუაშვილის ფილმმა „მეოთხე ბრაიტონი“ რეჟისორის საპარტიკო პირველი არხის თანაპროდუქსიონით შეიქმნა, ნიუ იორკში „ტრაიბიკას“ კინოფესტივალზე სამი ჯილდო მოიპოვა. ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია „ტრაიბიკას“ კინოფესტივალის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

საქართველოს პირველი არხი დაუკავშირდა ლევან კოლუაშვილს. როგორც კინორეჟისორმა განაცხადა, ფილმმა მიიღო ფილმის საუკეთესო ფილმის ნომინაციაში, ასევე საუკეთესო მსახიობის ნომინაციაში გამარჯვება ლევან თვლიაშვილმა. ფილმი ასევე დაჯილდოვდა საუკეთესო სცენარისთვისაც „მთავარი პრიზები წამოვიღეთ, მოგვაცქეს საქართველოში. მიხარია და ვულოცავ ქართულ კინოსაზოგადოებას, რადგან მე წაწილი ვარ ამ საზოგადოების და მგონია, რომ ჩვენი წარმატებები ყველას წარმატებაა“, - განაცხადა ლევან კოლუაშვილმა.

მისივე თქმით, „მეოთხე ბრაიტონი“ ბოლო კინოროლი იყო კახი კავსაძისთვის.

„ცხადია, კახი განსაკუთრებული ფენომენია, განსაკუთრებული მოვლენა ჩემთვის და ის ფაქტი, რომ ბატონმა კახიმ ბოლო როლი ჩვენთან ითამაშა, კიდევ ერთი პასუხისმგებლობაა, ალბათ. მგონია, რომ ძალიან საინტერესო და თავის სტილში შექმნილი როლია, რომელიც თან ექსცენტრულია, თან რეალისტური, თან ძალიან მსახიობური, თან ძალიან ადამიანური, როგორც მხოლოდ მას შეეძლო და ალბათ ამით იყო გამორჩეული, უნიკალური მსახიობი ქართულ კინოსივრცეში და არა მარტო. ფილმი მამა-შვილის ურთიერთობაზეა, თან კახიმ და მისმა შვილმა, ირაკლიმ ერთად ითამაშეს. ჩემთვის განსაკუთრებული ამბავია ეს ფილმი, მამა-შვილის ურთიერთობა ჩემი პირადი ტრაგედიადაა გამოდინარე, რადგან მამა დაეკარგე „კოვიდის“ პერიოდში და ბევრი ფაქტორია, რაც გაერთიანდა ამაში. კახი რომ არის, სხვა ელფერი აქვს ამას და სხვა სიხარული“, - განაცხადა ლევან კოლუაშვილმა.

კინორეჟისორის თქმით, ფილმს კარგი გამოხმაურებები ჰქონდა ფესტივალზე წარმოდგენილი გამოცემების მხრიდან, რაც მის დისტრიბუციას დაეხმარება.

„ტრაიბიკა ამით არის კარგი, რომ კარგად იფარება პრესით, პრესა აშუქებს კარგად. ფაქტობრივად, ყველა წამყვანი გამოცემა იყო წარმოდგენილი და ძირითადად ჰქონდა პოზიტიური ან ძალიან პოზიტიური გამოხმაურება, რაც ცხადია, მნიშვნელოვან წინაპირობას აჩენს. იმედია, ეს დაეხმარება ფილმის დისტრიბუციას, რადგან ეს საკითხიც მნიშვნელოვანია ჩვენს რეალობაში. დღეს დამატებითი პრიზიც მივიღეთ „ნეტფლიქსისგან“, რაც ნიშანს აჩენს, დისტრიბუციაც უფრო დაჩქარდეს იგივე „ნეტფლიქსთან“, - აღნიშნა ლევან კოლუაშვილმა.

მისივე თქმით, ფილმს საკმაოდ აქტიური საფესტივალო ცხოვრება ექნება. ამ დროისთვის უკვე დადასტურებულია, რომ ფილმი 10-მდე ფესტივალზე იქნება წარდგენილი.

„საქართველოში გვინდა, იყოს გვიან შემოდგომაზე, კოვიდისიტუაცია ჩანყნარდეს ცოტა, რათა მაყურებელს საშუალება ჰქონდეს, დარბაზში ნახოს ფილმი“, - განაცხადა ლევან კოლუაშვილმა.

„მეოთხე ბრაიტონი“ ემიგრაციაში ნასული ქართველი მოჭიდავის ისტორიას გვიყვება. ფილმში მთავარ როლს ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი ლევან თვლიაშვილი ასრულებს. „მეოთხე ბრაიტონი“ მოგვითხრობს 70 წლის მოჭიდავეზე, ოლიმპიურ ჩემპიონზე, რომელიც მიფრინავს თბილისიდან ნიუ-იორკში, რომ პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს თავის შვილს ბრაიტონიდან და გადაარჩინოს ის ვალისგან. ქართველები, აზერბაიჯანელები, რუსები, ყაზახები, ებრაელები... პოსტსაბჭოთა ნეორეალიზმი მტკატებში, ქართული ტრაგიკომედია იმაზე, თუ როგორ მთავრდება ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობისათვის ოცნებები ამერიკაზე.

ფილმისათვის სცენარი ბორის ფრუმინმა დაწერა, რომელთან ერთადაც რეჟისორმა ლევან კოლუაშვილმა თავისი ფილმების უმეტესობა შექმნა. ძალიან საინტერესოა ნადია მიხალკოვასა და გიორგი ტაბიძის სამსახიობო დუეტი - ისინი თავიანთ არსებულ და თანაც არარსებულ ურთიერთობებს არკვევენ - ესაა ერთგვარი უცნაური თანამედროვე რომანტიკა ბრაიტონზე.

ფილმზე ასევე მუშაობდა ფედონ პაპაიაქილი, ჩვენთვის უკვე საყვარელი და ცნობილი ფილმების — The Million Dollar Hotel, Ford vs Ferrari, Nebraska — დამდგმელი ოპერატორი. იგი ორჯერ იყო ნომინირებული ოსკარზე, როგორც საუკეთესო კინოოპერატორი.

კინოსურათი ოთხი ქვეყნის თანამშრომლობის შედეგია. „მეოთხე ბრაიტონის“ თანაპროდუქსიონი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელია. ფილმის აღმასრულებელი პროდუსერები არიან არმენ ზულოიანი, თინათინ ბერძენიშვილი და რუსუდან მანჯგალაძე. პროდუსერები: ირაკლი როდონია, ოლენა ერშოვა და მიშელ მერკტი „მეოთხე ბრაიტონზე“ შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდნენ.

„ტრაიბიკა“ დამოუკიდებელი ფილმების ყოველწლიური საერთაშორისო კინოფესტივალია, რომელიც ტარდება ნიუ იორკში. დაარსდა 2002 წელს ჯეინ როზენთალის, რობერტ დე ნიროსა და კრეიგ ჰატკოფის მიერ, მსოფლიო საგაჭრო ცენტრზე განხორციელებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის საპასუხოდ. ფესტივალს 20 წელი უსრულდება და ეს იქნება პირველი მასშტაბური ოფლაინ-ფესტივალი შეზღუდვების შემდეგ. ლევანის ფილმი საერთაშორისო ფილმების კონკურსზეა წარმოდგენილი. (ლევანის ფილმები არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია)

- 2006 - „ვალი“ (მოკლემეტრაჟიანი)
- 2010 - „ქუჩის დღეები“
- 2013 - „შემთხვევითი პაემნები“
- დოკუმენტური ფილმი
- 2009 - „ქალები საქართველოდან“



ულოცავთ! იზა პოპიაშვილს! გურამ ბენაშვილს!

ჩემო იზა და გურამ, გლოცავთ ოჯახის შექმნას, საუკეთესო სურვილებით გისურვებთ უღვე სიყვარულს, სიხარულს, ბედნიერებას და შვილთა სიმრავლეს. ღამაზად და წარმატებით გაგველოთ თქვენი თანაცხოვრების გზა. უფალი ყოფილიყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

დიდი სიყვარულით,

თქვენი ბებო ივოლდა ფიროსმანაშვილი, მშობლები: მანა და ლევან პოპიაშვილები

მეუფე დიმიტრი (ნოზაქეს)!

ჩვენო ძვირფასო სულიერო მოძღვარო, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას. ზოგადად, დიდა თქვენი ღვაწლი ადამიანების სულიერი გაძლიერების საქმეში. მათ შორის ჩვენთვისაც საიმედო დასაყრდენი ხართ - თბილი, კეთილი, მზრუნველი. მადლობელი ვართ ყველაფრისთვის. უფალი იყოს მუდამ თქვენთან.

არონი და ანა იაკობიშვილები

სოლომონ პოპიაშვილს! ნინო უზუნაშვილს!

საყვარელო სოლო, რადგან შენი ბედნიერების ამბავი გავიგე, აღარაფერი მიჭირს. გილოცავთ გულთა და სულით. მრავალი ბედნიერი დღე გავატენებოდეთ. ურთიერთსიყვარულით გეტარებინოთ მეუღლეობის არც თუ ისე მსუბუქი უღელი. იმედია, ოჯახების ტრადიციას არ უღალატებთ და ბევრი შვილი გეყოლებათ. მჯერა, კარგი, სანიმუშო და მისაბაძი, ქართული ოჯახი გექნებათ, რომელსაც, სამწუხაროდ, დედაშენი ვერ მოეხსნო. უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

სიყვარულით, ნათელა პაპიდა ოჯახით

ამინდი		დედოფლისწყარო		სურამი		საბურთალო		თბილისი		ქუთაისი		ზუგდიდი	
ორშაბათი 21.06	სამშაბათი 22.06	ორშაბათი 23.06	სურამი 24.06	საბურთალო 25.06	თბილისი 26.06	ქუთაისი 27.06	საბურთალო 28.06	თბილისი 29.06	ქუთაისი 30.06	საბურთალო 01.07	თბილისი 02.07	ქუთაისი 03.07	საბურთალო 04.07
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
☀️	🌙	☀️	🌙	☀️	🌙	☀️	🌙	☀️	🌙	☀️	🌙	☀️	🌙
33°	18°	33°	19°	34°	19°	34°	19°	33°	19°	32°	18°	31°	18°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ილია ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მანა ქანჭავაძე (საქმის მწარმოებელი); გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591 97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	---	---

მადლიერება!

არ ვიცი როგორ გამოვხატოთ ჩვენი ოჯახის მადლიერება თითოეული თქვენგანის მიმართ, ვინც გაიგეს ჩვენი შვილის დიაგნოზი, გულთან მიიტანეს და ფინანსურად გვერდში დაგვიდგნენ, ვინც ილოცეს, ვინც გაგვამხნევებს და დიდი იმედი ჩავვისახეს ჩვენი შვილის მამუკას გადარჩენისთვის. ყველას დიდი მადლობა და ეს სიკეთე 100-მაგად დაგიბრუნდებათ. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ ყველა თქვენგანი. სანამდე სიკეთის კეთება და გვერდში დგომა ვიცი, ჩვენ არ გადავშენდებით.

პატივისცემით,

ზურაბ ჩალაბაშვილი, მარგო იაკობიშვილი